

ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ ახალი სიცოცხლე,
როგორც ჰიპოტექსტისა ჰიპერტექსტისათვის
მატიას ენარის რომან „კომპასში“

THE NEW LIFE OF AMEEN RIHANI'S "JUHAN" AS A
HYPOTEXT FOR THE HYPERTEXT IN MATHIAS ENARD'S
NOVEL "COMPASS"

დარეჯან გარდავაძე
Darejan Gardavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლურ-დასავლური თემა მხატვრულ
ლიტერატურაში.

Keywords: the East-West theme in fiction.

მოხსენების მიზანია, მათიას ენარის, თანამედროვე ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის, მწერლისა და მთარგმნელის, გახმაურებულ პოსტმოდერნისტულ რომან „კომპასში“, რომელიც 2015 წელს გამოიცა და ამავე წელს გონკურის პრემია მიიღო, ამინ არ-რეიჰანის, არაბული ემიგრანტული ლიტერატურული სკოლის, – „მაჰჰარის“, – თვალსაჩინო ორენოვანი ლიბანელი ავტორის ერთ-ერთი ადრეული ტექსტის „ჯიჰანის“ კვალის გამოვლენა, მისი ინტერპრეტაცია, როგორც ინტერტექსტუალური დიალოგის ახალი ვარიანტისა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის პარადიგმა როგორც პრეტექსტს, ისე ჰიპერტექსტს გასდევს თავიდან ბოლომდე. ორივე ტექსტში აღმოსავლეთ-დასავლეთის ბინარული წყვილი ძალაუფლებისა და სიყვარულის, სხვისი დაუფლებისა და სხვაზე ბატონობის გზით მიღწეული ბედნიერების ისტორიებთანაა მჭიდროდ გადახლართული, პრეტექსტის (ჰიპოტექსტის) – ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ – ძირითადი აზრი გარკვეულწილად ტრანსფორმირებულია „კომპასში“, გარდა იმისა, რომ შეცვლილია მისი ისტორიულ-გეოგრაფიულ-დროითი კონტექსტი, თუმცა მთელი რიგი მინიშნებებით მაინც ადვილია მისი ამოცნობა.

„კომპასის“ ავტორის არჩევანიც ამ საუკუნის წინ, 1917 წელს ამერიკაში, ნიუ-იორკში გამოცემული ტექსტის სიუჟეტის გამოყენებისას, ვფიქრობ, სწორედ ეს აღმოსავლურ-დასავლური თემა უნდა ყოფილიყო, რადგან რომანი „კომპასი“ აღმოსავლეთმცოდნეობითი სპეციფიკით საოცრად დატვირთული, ინტერტექსტებით უხვად გაჯერებული ძალიან საყურადღებო ნაწარმოებია, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებებზეა აგებული.

ლიტერატურა:

რიჰანი, ამენ ფ. - Rihani, Ameen F. (2011). Juhan, Lebanon: “Editions Dar An-Nahar”, “Notre Dame University Louaize Press”.

ენარი, მ. (2021). კომპასი. ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.

The paper aims to reveal the traces of one of the early texts by Ameen Rihani (a Lebanese bilingual author and representative of Arabic Emigre Literary School “Mahjar”) the story of “Juhan” in the popular postmodern novel “Compass” by Mathias Enard (a modern French Orientalist, writer and translator), which was published in 2015 and awarded the Goncourt Prize in the same year. The presented scientific work also intends to interpret this text as a new variant of an intertextual dialogue.

The East-West paradigm follows both the pretext and the hypertext from beginning to end. In both texts, the East-West binary opposition is closely intertwined with the stories of happiness achieved through power and love, the possession of other, and domination over other. The main idea of the pretext (hypotext) of Ameen Rihani’s “Juhan” has been somewhat transformed into “Compass.” Although its historical, geographical and temporal context has changed, it is still easy to identify it with many hints and clues.

I believe that the choice of the author of “Compass” to employ the plot of the text published in New York in 1917, must have been the East-West theme. The novel “Compass” is loaded with the features characteristic of the Orient, richly saturated with intertexts built on the East-West controversy.

References:

- Rihani, Ameen F. (2011). *Juhan*, Lebanon: “Editions Dar An-Nahar”. “Notre Dame University Louaize Press”.
- Enard, M. (2021). *Kompasi, prangulidan targmna Paata Javakhishvilma*. Tbilisi: gamomtsemloba „Diogene“. [Boussole. translated into Georgian by Paata Javakhishvili, Tbilisi “Publishing Diogene”].